შპს „ოპტიმუსი“

დასკვნა

ქ.თბილისი, დ.სარაჯიშვილის გამზ.#17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე

(ს/კ 01.11.05.034.011 შენობა #1/5) მდებარე სასწავლო დაწესებულების შენობის

ტექნიკური მდგომარეობის შესახებ



ქ.თბილისი

2018 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"
სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№----------

02 აგვისტო 2018 წ.

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, დ.სარაჯიშვილის გამზ.#17 (ს/კ 01.11.05.034.011 შენობა #1/5)

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო ექსპარტიზა;

ექსპერტიზის მიზანი - შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და მზიდუნარიანობის შესწავლა მასზე სართულების დაშენებასთან დაკავშირებით;

დამნიშნავი ორგანიზაცია/პიროვნება – შპს „ევროპული სამედიცინო უნივერსიტეტი"

ს/კოდი 400199469; ქ.თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზ.#17

მისამართი – ქ.თბილისი, ასათიანის ქ.#7 ვაჟა ფშაველას #33;

შემსრულებელი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი"-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 8 წელი, სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 33 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, დ.სარაჯიშვილის გამზ.#17-ში არსებული ხუთსართულიანი სასწავლო დაწესებულების შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მზიდუნარიანობის შესწავლა მასზე ორი სართულის დაშენების მიზნით (საპროექტო სართულების მზიდი კარკასი და შემავსებლები მოისაზრება, როგორც მსუბუქი ტიპის კონსტრუქციები) და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია - 1) მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; შენობის პროექტის არიქტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები, დასკვნა გაცემული შპს „მშენ-ექსპარტი"-ის მიერ შენობის კონსტრუქციებისა და გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის შესახებ, მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

გამოკვლევა – ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე განთავსებულ შენობას, რომელიც ხუთსართულიანია სარდაფის და სხვენის (ტექნიკური) სართულით. იგი აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში. კონსტრუქციულად მისი მზიდი კარკასი ჩარჩოვან-კავშირიანი ნაგებობის ტიპს მიეკუთვნება, რომლის ვერტიკალურ მზიდ ელემენტებს შეადგენენ კომბინირებულ საძირკველზე მოწყობილი ხისტი ჩარჩოები და დიაფრაგმები. (ყოფილ სსრკ-ში მოქმედი სახსტანდარტი ИИС-04 "Сборные элементы зданий каркасной конструкции"

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

შენობის მზიდი კონსტრუქციები შემდეგი სახისაა:

საძირკველი - რკ/ბეტონის კომბინირებული ტიპის.

სარდაფის კედლები - რკ/ბეტონის ზემძირკვლის (ცოკოლის) სახითაა ამოსული მიწის გრუნტის ზედაპირიდან.

მზიდი კარკასი - სხვადასხვა კვეთის რკ/ბეტონის მონოლითური სვეტების, დიაფრაგმებისგან და რიგელებისგან, რომლებისერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ხისტი კვანძებით.

სართულშუა გადახურვა - რკ/ბეტონის მონოლითური ღრუტანიანი გადახურვის ფილები, მონოლითური რკ.ბეტონის გადახურვების ჩანართებით.

კედლების შემავსებელი - ძირითადად გვხვდება საკედლე ანაკრები პანელები, სილიკატური აგური წვრილი სამშენებლო ბლოკი;

სახურავი - შენობას გააჩნია ტექნიკური სართული და მასზე მოწყობილი ხის კონსტრუქციების მქონე ორქანობიანი სახურავი. გადახურვის მასალად გამოყენებულია მოთუთიებული ლითონის ფურცლოვანას ბურული.

შენობის ტექნიკური მდგომარეობა - ჩემს მიერ შესწავლილი შენობის მზიდ კონსტრუქციებსა და მის შემადგენელ ელემენტებში რაიმე სახის დაზიანებები, გამოწვეული საძირკვლის ჯდენით ან/და მასზე მოსული სხვა მექანიკური დატვირთვებისგან არ დაფიქსირებულა და გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

საპროექტო დავალების მიხედვით შენობას უტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ითვალისწინებს ტექნიკური სართულისა და სახურავის დემონტაჟს და მის ნაცვლად მსუბუქი ტიპის ორი სართულის დაშენებას, როგოც შემოწმებამ აჩვენა ასეთი სამუსაობის ჩატარებით საძირკვლებსა და შენობის მზიდ კონსტრუქციებზე არსებული და საპროექტო დატვირთვები თითქმის არ იცვლება.

მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების, შენობაზე ჩატარებული ბეტონისა და სხვა მზიდი კონსტრუქციების კვლევების შედეგების (ინსპექტირების ჯგუფის შპს „მშენ -ექსპერტი“-ს მიერ შემოწმებული ბეტონის კლასმა შეადგინა - B25), ასევე ა. წ. 01-02 აგვისტოს ჩემს მიერ შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მათი მზიდუნარიანობის ანალიზის მიხედვით შემიძლია ცალსახად დავადგინო, რომ შენობა მზიდუნარიანია, მასზე მსუბუქი ტიპის კონსტრუქციებითა და შემავსებლებით ორი სართულის დაშენება დასაშვებად მიმაჩნია.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

დასკვნა - ქ.თბილისი, დ.სარაჯიშვილის გამზ.#17-ში მდებარე სასწავლო დაწესებულების შენობის (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.11.05.034.011 შენობა #1/5) ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მასზე განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ითვალისწინებს შენობის ტექნიკური სართულის და არსებული ორაქნობიანი სახურავის მოხსნა და მათ ნაცვლად ორი მსუბუქი ტიპის სართულის დაშენება დასაშვებად მიმაჩნია. პროექტის კორექტირებით გათვალისწინებული ორი სართულის სამშენებლო სამუშაოები და არც მათი შემდგომი ექსპლუატაცია შენობის საერთო მდგარდობასა და საიმედოობაზე უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს. საშენ მასალად კონსტრუქციებში გამოყენებულ იქნას მსუბუქი ბეტონი, ლითონის და ხის კონსტრუქციები, შემავსებლებად მსუბუქი ტიპის სამშენებლო მასალა.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდეს ქვეყანაში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge